გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდიკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1887 წელიწადი


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს 27 მარტს

**ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების გამხილველის კომისიისაგან**

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების გამხილველი კომისია უცხადებს ამ ბანკის დამფუძნებელთ, რომ ამ კომისიის მიერ შედგენილი პროექტი ბანკის წესდების შეცვლისა უკვე დაიბეჭდა და დაურიგდა ბ-ნთ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთ, რათა დაურიგონ ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკის წევრებსა. (3—2)

დღეს, 25 მარტს

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ამავე ხოროს სოლისტის ბ-ნ ბურჯანაძის სასარგებლოდ გაჰმართავს საგანგებოდ ამორჩეულის სიმღერების

## კონცერტს

არტისტის ი. ი. რატილის ლოტბარობით.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო

ლექციები აკაკისა

„ვეფხვის ტყაოსანზე“

გადაიდო. პირველი ლექცია იქნება წაკითხული ხუთშაბათს, 26 მარტს, ბანკის თეატრში და მეორე—კვირას, 29 მარტს.

ტფილისი, 24 მარტი

რაც შეეხება ადამიანის ოსტატობით და ხელით ბუნებურ ღვინის გარდაქმნასა, ანუ ყალბის ღვინის შექმნას, რომელსაც ჩვენი მეცნიერნი მაინც კეთებას ეძახიან,—ამაში კი,—უნდა გამოვსტყდეთ,—ევროპიელნი უანგარიშო მანძილზედ ჩვენზედ წინ არიან. რაც დღევანდლამდე მეცნიერებას ამ საგნის გამო აღმოუჩენია, სულ ყოველი ხელთა აქვთ ევროპიელთ ოსტატებსა. თუმცა ამ თითქმის ყოვლად შემძლებელმა მეცნიერებამ დიდი ძალ-ღონე მიჰმადლა ყალბის ღვინის ოსტატებს, მაგრამ ამავ პირუთვნელმა მეცნიერებამ გამოაქვეყნა საყოველთაოდ ყოველივე ეშმაკობა, რაც კი ბუნებურს ღვინოს — ამ მარგებელს და სასიამოვნო სასმელს ადამიანისას—ჰრყვნის, აფუჭებს და ხშირად სნეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაც ჰხდის.

ვიდრე ამის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა ყველაზედ უწინარეს ერთს აზრს, არა ერთხელ გამოთქმულს ჩვენში, პასუხი გავცეთ. მით უფრო ანგარიშში მოსატანია ეს აზრი, რომ იგი შიგნით ტყუილია და თვალად-კი მართალსა ჰგავს. ამ აზრს ძალიან ეჭიდებიან ოსტატურის ღვინის კეთების მომხრენი. იგინი ამბობენ: მარტო უმეცარი თუ იტყვის, რომ ქვეყანაზედ ბუნებური ღვინოაო. განა ბუნება ღვინოსა ჰქმნისო? აქ რაც არის, კაცია და იმისი ოსტატობა და ხელიო? კაცი რომ არ იყოს, განა ბუნება ღვინოს შეჰქნისო? აბა მაგალითი გვიჩვენონო, სად აკეთებს ბუნება ღვინოსაო?

ამ ხუთმეტ წელიწად წინ ვენაში ღვინის კეთების თაობაზედ გამოვიდა გერმანულს ენაზედ ერთი პატარა წიგნი ბ-ნ ბერშისა. იგი სწორედ ამასვე ამბობს, თითქო ჩვენებურ მეცნიერთათვის ყური მოუგრავს, ამათგან უსესხნია იგი ზემოდ მოყვანილი აზრი და თუთიყუშსავით იმეორებსო: ისე საოცრადა ჰგავს იმის ნათქვამი ჩვენის მეცნიერების ნათქვამსა. ბ-ნი ბერშო ამბობს:

„ყველაზედ ძლიერი და თვალად გამჭრე ხმალი, რომელიც ხელში უჭირავთ ღვინის ოსტატურად კეთების მოპირდაპირეთა, ერთი ყველასაგან ცნობილი ფრაზაა: «ყოველივე, რასაც კი ბუნებურ ღვინოში ჩაუმატებ, სიყალბეა და სასმელი, ამ სახით შერევნილი, ღვინო კი აღარ არის, ნაკეთი სასმელია ჯან-მრთელობისათვის მავნებელიო“. ხოლო ესეთი აზრი უღონოა იმ საბუთის წინაშე, რომ ეგრედ წოდებული „ბ უ ნ ე ბ უ რ ი ღ ვ ი ნ ო“ სულაც არ არსებობს; რომ როგორც გამომცხვარი პური, ისეც ღვინო ბუნების ნამოქმედარი არ არის.

ცოტა ამას ქვემოდ ასე განაგრძობს:

„ყურძენი, თავის ანაბარობაზედ მიგდებული, თავის დღეში არ გარდაქმნილა ღვინოდ, სწორედ ისე, როგორც ხორბალი თავისთავად არა ქცეულა თავის დღეში ფქვილად და პურად.

ყოველივე ეს მეტის-მეტი მართალია, მაგრამ ტყუილია მარტო აქედამ გამონასკული აზრი. აქაო და ხორბალი თავის-თავად ფქვილად არა ქცეულა, განა აქედამ ის გამოდის, რომ ფქვილში კირის გარევა ძალიან კარგია, ან ღვინოში ანწლისა? რა არის ფქვილი? იგივ ბუნების ნამოქმედარი ხორბალია, ფხვნილად ქცეული ადამიანისაგან. რა არის ღვინო? იგივ ბუნების ნამოქმედარი წვენია ყურძნისა, სხვა სახედ ქცეული მისისავე თანდაყოლილის ბუნების ძალთაგან, რომელსაც კაცმა მარტო თავის ნებისა და სურვილისამებრ მიმართულება მისცა და რომელთაც მარტო ხელი შეუწყო. როცა კაცი იტყვის: ეს ფქვილი ბუნებურია, ამით იმისი თქმა უნდა, რომ აქ ფხვნილის ხორბლის მეტი არა არის-რა. როცა კაცი ამბობს: ეს ღვინო ბუნებურია, ეს იმას ჰნიშნავს, რომ აქ ყურძნის წვენის მეტი სხვა არა არის-რა. ესე რომ არ იყოს და ბ-ნ ბერშოს აზრს ავყვეთ, მაშინ გაფცქვნილი და დაჭრილი ვაშლიც ბუნების ნამოქმედარი არ იქნება, რადგანაც ვაშლი, თავის ანაბარობაზედ დატოვებული, თავის დღეში არ გაიფცქვნევა და არ დაიჭრება იმ სახით მაინც, როგორც ამას კაცი იზამს ხოლმე.

თუმცა ბ-ნი ბერში ასეთი თავ-გამოდებული მომხრეა ღვინის ოსტატურად კეთებისა, მაგრამ ისიც კი თავს იჭერს და მარტო სამს ნივთიერებას ჰხადის შესაწყნარებლად და მარტო ამ სამს ნივთიერებაზედ ამბობს, რომ მხოლოდ ესენი შეიძლება ჩაემატოს ღვინის გაბევრებისა და სიკეთისათვისო;—სახელდობრ: წყალი, შაქარი და შეურევნელი, გადაწმენდილი ჭაჭისა, თუ ღვინის არაყიო (სპირტი). ამის ჩამატებას იგი იმით ამართლებს, რომ ეს ნივთიერებანი თვით ბუნებითა აქვს მინიჭებული ყურძნის წვენსა, თუ ღვინოსა და ამიტომაც მათი ჩამატება ბუნების გარყვნა არ არისო.

„განა სულ ერთი არ არისო, ამბობს იგი, ყურძნის წვენის შაქარი თვითონ ყურძენმა გაიკეთა, თუ შაქრის-ლელწამმა და ჭარხალმა, რადგანაც წვენის დუღილში ერთიც და მეორეც ერთსა და იმავე საგანს იძლევაო. ამ სახითვე განა სულ ერთი არ არის ალკოჰოლი ღვინისა იმ შაქრიდამ წარმოსდგა, რომელიც ყურძენსა აქვს, თუ კარტოფილის შაქრიდამაო. მთელის ქვეყნის ქიმიკოსები ვერ გამოიცნობენ, ალკოჰოლი ყურძნის შაქრისაგან არის წარმომდგარი, თუ განგებ ჩამატებულის შაქრისაგანა. ამას ვერ გამოიცნობენ, იმიტომ-რომ არავითარი განსხვავება არ არისო.

ჯერ თვითონ ამ სიტყვებიდამ სჩანს, რომ ბ-ნი ბერშიც კი ჰთაკილობს, ძნელად ჰბედავს ბუნებურ ღვინის შერევნასა და რადგანაც გული მაინც ღვინის შერევნისაკენ მიუწევს და იგივ გული ამავე დროს როგორღაც ეთანაღრება, თავს იმით მართლულობს, რომ წყალი, შაქარი, ალკოჰოლი თვითონ ბუნებით დაყოლილი თვისებაა ყურძნის წვენისა თუ ღვინისა და ამათი ჩამატება ბუნების წინააღმდეგი არ უნდა იყოსო. როცა, მაგალითებრ, ამინდმა ხელი არ შეუწყო, ყურძენი არ მოაწია და წვენი მჟავეა, მაშინ სჩანსო, ამბობს იგი, რომ ბუნებამ ვერ მოასწრო შესაფერის სიტკბოს მიცემა და რაც ბუნებამ დააკლო, ის ჩვენ რომ ჩავუმატოთ—ეგ ბუნების გარყვნა კი არ იქნება,

---

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

ძველი ამბავია.—პირველ ხანებში ძნელი მისახვედრი იყო.—რას უჭირავს დედა-მიწა?—უწინ ასეც უნდა ყოფილიყო.—რას ასახელებს დღეს მეცნიერება მიწის-ძვრის მიზეზად?—წყლისაგან გამოფხვრილი მიწა.—მზისა და მთვარის გავლენა დედა-მიწაზე.—მზის დაბნელება და მიწის-ძვრა.—„ბედის ვარსკვლავები.“—ჰაეროლიტები. — ქარტეხილისაგან გამოწვეული მიწის-ძვრა.

წარსულს ფელეტონში ჩვენს მკითხველებს მოკლედ ვუამბეთ, საიდამ არის და რა უბედურება მოსდევს მიწის-ძვრასა. ეს უბედურება ახალი ამბავი არ არის, მიწის-ძვრა ისეთივე ძველი ამბავია, როგორც ძველია თვით ჩვენი დედა-მიწა. ძველის-ძველადგანვე ეს უბედურება ადამიანს სულ თან დასდევდა.

როდესაც ადამიანს რაიმე უბედურება შეემთხვევა, ეს უბედურება უთუოდ ჩააფიქრებს და რაც უფრო უბედურება ხშირია და მუდმივი, მით უფრო მეტად აფიქრებს და აკითხვინებს: რა არის, საიდგან რა გამოგვიტყვრა, რისაგან მოგვდის ეს უბედურებაო? მიწის-ძვრა რომ ქვეიდგან მოდის, დედა-მიწის გულში რომ რაღაც ამბავია,—ეს ადვილი მისახვედრი იყო. მაგრამ როგორ და რა გვარად? ვინ ან რა იმალება იქ, ქვესკნელში, ისეთი რა ძალ-ღონე აქვს, რომ ამ უზარ[მაზ]არ მიწას ანძრევს და არყევს?

ეს კი ცოტა ძნელი მისახვედრი იყო, მეტადრე კაცობრიობის ცხოვრების პირველ ხანებში; როდესაც ადამიანი ტყე-ველად დარბოდა, ან საქონელს უკან დასდევდა, ან ძლივ-ძლივობით მიწის ჩიჩქნა ისწავლა და დღე-დღეურად ძლივს გამოდიოდა, ძლივს ვაივაგლახით მშიერს მუცელს ივსებდა,—მაშინ სადა ჰქონდა ან მოცალება, ან ცოდნა, ან გამოცდილება, რომ დაჰკვირვებოდა და ნამდვილი შეეტყო რამე. რასაც თვალ წინა ჰხედავდა, კიდევ ჰო, ასე თუ ისე, ავად თუ კარგად, ცოტაოდენ რამეს მაინც გაიგებდა და მიჰხვდებოდა, მაგრამ რას შეიტყობდა იმისას, რაც ღრმად მიწაში დაფარული იყო, რაზედაც თვალი არ მიუწვდებოდა?

იმ ხანებში ადამიანმა იცოდა, მაშასადამე, ის, რასაც თავის თვალ წინა ჰხედავდა. გონებაც, რასაკვირველია, ამაზე შორს არა ჰსჭრიდა. თვალით ნანახს, ყურით გაგონილს აკვირდებოდა, იხსომებდა. ეს იყო ამის გამოცდილება, სწავლა, ცოდნა. თქვენ თითონ მიჰხვდებით, რომ ამ გვარ სწავლა-ცოდნით ადამიანი შორს ვერ წავა. რასაც თვალითა ჰხედავს, რაც თავის პატარა შემოქარგლულ წრეში უნახავს და გაუგია, სხვაგანაც ესევე ჰგონია, დარწმუნებულია, რომ მთელი ქვეყანაც სწორედ ასე უნდა იყოს მოწყობილიო.

***

რას ჰხედავდა თვალით გარშემო? ქვა რომ აავდო ჰაერში, ისევ უკან მოდის და დედა-მიწაზე ეცემა. სახლს რომ ჭერი მოადგა, უთუოდ ან კედლები უნდა აუგო ან ბოძები შეუყენო, უამისოდ ჭერი არ დადგება. ერთის სიტყვით, ნელ-ნელა, დაკვირვებით, გამოცდილებით ადამიანმა შეიტყო, რომ მძიმე რამ ჰაერში თავის თავად ვერ დადგება, უთუოდ ქვეშიდამ უნდა იჭერდეს რამე და უსათუოდ უნდა იყოს დანდობილი. ეს თუ ასეა, მაშ ეს მიწაც, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, ხომ უნდა იყოს რაზედმე დანდობილი, ჰაერში ხომ თავის თავად ვერ დაიჭერს თავსა, მერე დედა-მიწა, რომელიც ასეთი დიდია და მძიმე?

რაზედ უნდა იყოს დედა-მიწა დანდობილიო?—იფიქრა ადამიანმა. თუ ბოძებზე დგას, მაშ ეს რისასაგან ხდება, რომ შეინძრევა, შეირყევა ხოლმეო? არა, დედა-მიწა რაღაც ცხოველ არსებაზე უნდა იყოს დანდობილი. ვინ უნდა იყოს ეს ცხოველი არსება? რასაკვირველია ის, ვისაც დიდის სიმძიმის, საპალნის ატანა შეუძლიან.

და აი იმ დროს ადამიანს წამოდგენილი ჰქონდა, რომ დედა-მიწა რქებით უჭირავს უზარმაზარს ხარსაო, ზოგი კიდევ ჰფიქრობდა, რომ დედა-მიწა ერთ უშველებელ, უზარმაზარ ვეშაპის ზურგზე დგასო. რაკი ადამიანმა ეს გამოისახა, მაშინ, რასაკვირველია, ადვილი იყო იმის გამოცნობაც, თუ რისაგან მოხდება ხოლმე მიწის-ძვრა. ხარს თუ ვეშაპს მოსწყინდება უძრავად ყოფნა, ან შეაწუხებს ასეთის ტვირთის ტარება, შეინძრევა, მიიწევ-მოიწევს და შეარყევს დედა-მიწასაო.

ეს პირველი ნაბიჯი იყო, პირველი მიხვედრა ადამიანისა. მაგრამ მიწის-ძვრას შერყევის გარდა სხვა რამეც მოსდევს. ხან რაღაც გრგვინვა-გრიალი, ხმაურობა ისმის, ხან მიწა გაირღვევა, ჩაიქცევა და ადამიანსაც თავის ავლა-დიდებით თან ჩაიტანს ხოლმე. ეს რისაგან-ღა უნდა იყოს? ეტლს რომ მიარბენინებენ ცხენები, რაღაც გრიალი ისმის; ქვა რომ ქვას დაარტყა, ან კეტებით, ჩაქუჩით დაუწყო რასმე ცემა, რაღაცა ხმაურობა ისმის. თითქმის ასეთივე ხმაურობა ისმის ქვესკნელშიაც მიწის-ძვრის დროს თუ წინად. რისაგან უნდა იყოს ეს ხმაურობა იქ, მიწის ქვეშ? რასაკვირველია, იქ ვიღაცა დაძვრება და ჩაქუჩებით თუ კეტებით უბრაგუნებს დედა-მიწასა. ვინ უნდა იყოს იმ ქვესკნელში? რასაკვირველია, ვიღაცა ავი სულები, რომელნიც ადამიანის დაუცხრომელნი მტრები არიან; ესენი მუდამ იმ ბნელში სცხოვრებენ, მოსვენებას არ აძლევენ ადამიანსა და არც თითონ ისვენებენ. დადიან და დაუღალავად სცემენ ჩაქუჩებს დედა-მიწას ქვეშიდგან, იმდენს უბრაგუნებენ, მანამ სადმე არ ჩაანგრევენ მიწასაო.

***

ასე ჰქონდა ადამიანს წარმოდგენილი მიწის-ძვრა პირველ ხანებში. ასეც

ნაკლის შევსება იქნებაო. წყალს, რასაკვირველია, მარტო ღვინის გაბევრებისათვის ჰხმარობენ, შაქარსაც ამისათვისაც და ალკოჰოლის შექმნისათვის და გადაწმენდილს არაყს სიმაგრისათვის და უფრო ხშირად გამძლეობისათვის.

აი ის თავ-გამოდებულნი მომხრენიც იმ ოსტატობისა, რომელნიც მარტო ამაებს ურევენ ყურძნის წვენში, რაზედ აფუძნებენ თავიანთს აზრსა და რით მართლულობენ თავსა. შემდეგ წერილებში ჯერ ამ თვითვეულს შესარევს ცალ-ცალკე გავარჩევთ და მერე იმას, რასაც სხვა ოსტატები ჰხმარობენ უფრო მეტის ყალბობისათვის.

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ გორიდამ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი განსვენებულის იოსებ დავითაშვილის დისაგან, ელისაბედ ბებიევისაგან: „ივერიის“ უკანასკნელს ნომრებში გამოცხადებული იყო გარდაცვალება ჩემის ძვირფასის ძმის იოსებ დავითაშვილისა. გულითადს მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, ვინც თავის სიტყვით გვანუგეშა და ჩვენი მწუხარება მოგვათმენინა. ვნუგეშობთ იმით, რომ მარტო შინაურობაში არა ყოფილა საყვარელი განსვენებული, არამედ თვით განათლებულთა შორისაც გულ-წრფელი პატივისცემა დაუმსახურებია.

კვირას, 29-ს მარტს, გორის ქალაქის „სობოროში“ გარდახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის იოსებ დავითაშვილის მოსახსენებლად ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ და დაესწრონ ამ პანაშვიდს.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისში განუზრახავთ შეჰკრიბონ ყველა ლექსნი განსვენებულის იოსებ დავითაშვილისა და აგრეთვე სხვა ნაწერებიცა და ცალკე წიგნად დაბეჭდონ. განუზრახავთ აგრეთვე ქვა დაადონ მიცვალებულის საფლავს.

⁂ ამ დღეებში მტკვარი ძრიელ მოვარდა. კუკიის ხიდთან წყალმა რიყე სრულიად დაიჭირა. წყლის ნაპირები დახრამულია და ძალიან საშიშია ზოგ ალაგას მტკვარში ჩასვლა. დღე არ გავა, რომ გაუფრთხილებლობის გამო უბედურება არა მოხდეს-რა. გუშინ-წინ ერთი ცხენი მოიტაცა წყალმა და დაარჩო. გუშინ კიდევ პოვოსკა მოიტაცა ცხენებიანად და დიდ-ხანს ატარა. ცხენები გადაარჩინეს დარჩობასა და პოვოსკაც, როგორც იყო, გამოიტანეს. გუშინვე მოიტაცა კამბეჩები და ხან სად მიახალა და ხან სად. ამ დროს ყოველთვის დიდი სიფრთხილეა საჭირო.

⁂ ნაადგომევს, მაისის 2-ს დანიშნულია წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა. განსახილველია სხვათა-შორის შემდეგი საგნები: ანგარიში ბანკისა 1886 წ., ხარჯთ-აღრიცხვა 1887 წლისათვის, რა საზოგადო საქმეს უნდა მოხმარდეს მოგება ბანკისა, არჩევანი ზედა-მხედველის კომიტეტის ერთის წევრისა ა. გამრეკელის მაგიერ, არჩევანი ბანკის მმართველობის ერთის წევრისა თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას, არჩევანი დამფასებლის კომისიის ორის წევრისა თ. რ. ჩოლაყაშვილისა და ბ-ნ ბ. რატიშვილის მაგიერ, რომელნიც აგრეთვე რიგისამებრ ანებებენ თავს კომისიას.

⁂ გუშინ საღამოზე ტფილისის კრუჟოკში აკაკის უნდა წაეკითხნა პირველი ლექცია „ვეფხვის ტყაოსნის“ თაობაზე, მაგრამ მისგან დამოუკიდებელის მიზეზების გამო, ლექციის წაკითხვა გადაიდო. როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, პირველს ლექციას აკაკი წაიკითხავს ბანკის თეატრში ხუთშაბათს, 26 მარტს, ხოლო მეორეს—კვირას, 29 მარტს.

⁂ ქუთაისიდგან გვწერენ: მოვიშორეთ ზამთარი და დიდის სიხარულით შევეგებეთ მარტს. აქ ყველაფერმა გაღვიძება დაიწყო. ხეხილებს ყვავილები და ფოთლები გამოაქვთ; მინდვრები ბალახით იმოსება. მზე გვარიანად გათბობს, ასე რომ საზაფხულო ტან-საცმელს ვიცვამთ. საზოგადოებაც გაცოცხლდა, უწინდელი სიჩუმე აღარ სუფევს. დროს გატარებაც, ამ ბოლოს დროს, საკმაოა. ამ ბოლო კვირეებში აქ მოუხშირეს კონცერტებს. ბ-ნმა ქორიძემ გამართა კონცერტი. საზოგადოება კონცერტზე ბლომად დაესწრო, ქართველობა კი ცოტა ნაკლებად იყო. არ მოგვეწონა, რომ ქორიძეს ქართული სიმღერები არ უსწავლებია თავის ხოროსათვის.

⁂ იქიდამვე გვწერენ: 22 მარტს ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მოსწავლეთათვის გამართულ იქმნა კონცერტი. მონაწილეობას იღებდა გიმნაზიის ხორო ბ-ნ გროზდოვის ლოტბარობით და ორკესტრი, რომელიც გიმნაზიის მასწავლებლებისაგან შესდგებოდა და რომელიც სხვა-და-სხვა საკრავებზედ უკრავდა. სიმღერაში მონაწილეობას თვით დირექტორი იღებდა. საზოგადოება აქაც ბლომად დაესწრო, ხოლო უმეტესი ნაწილი რუსობა იყო. სხვათა შორის ორკესტრმა ქართული ხმები დაუკრა. ეს ხმები ძალიან მოეწონა საზოგადოებას.

⁂ ქუთაისიდგანვე გვატყობინებენ: დიდი ამბავი იყო არჩევანების დროს საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. მეტადრე ვაჭრები ფაცურობდნენ. ყველამ, ვინც კი რუსული წერა და ანგარიში იცოდა, მოინდომა კენჭის ყრა. როგორც იყო დადგა კვირა საღამო. დანიშნულ დროზედ იმოდენა ხალხი შეიკრიფა, რომ ბანკის დარბაზში ვერ გასძლო და გარედ გამოვიდა. ასე გასინჯეთ, რომ დერეფანიც კი სავსე იყო ხალხით. წევრები საშინლად ჯავრობდნენ, რადგან მათ დარბაზში არავინ არ უშვებდა და იძულებული გახდნენ დერეფანში მოეცადათ. ამ ღამეს უნდა გარჩეულიყო სხვათა-შორის შემდეგი საქმეები. საზოგადოებას უნდა მოესმინა რჩევის მოხსენება 1886 წ. ანგარიშის თაობაზედ, განეხილა და დაემტკიცებინა ხარჯთ-აღრიცხვა 1887 წლისათვის, აღერჩია გამგებელი და აგრეთვე დირექტორი. პირველ ორის საქმის გათავების შემდეგ შეუდგნენ არჩევანს. კანდიდატებად თავს-მჯდომარის ადგილისა იყვნენ სლუგოვსკი და თუმანიშვილი. ხმის უმეტესობით თუმანიშვილი ამოირჩიეს. თავ-მჯდომარის ამორჩევის შემდეგ, რადგან გვიან იყო, კრებამ დირექტორის კენჭის ყრა გადასდო.

⁂ „ნოვ. ობოზ.“ გვაუწყებს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აპირებს ხაშურის სადგურთან დაარსოს ორ კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც მოამზადებენ ყმაწვილებს რკინის გზის სკოლაში შესასვლელად. ამის გამო რკინის გზის გამგეობას უკვე უთხოვნია საერო სკოლების დირექტორისათვის შეატყობინოს გამგეობას საჭირო ცნობანი.

⁂ გაზ. «კავკაზს» სწერენ ზემო-ავჭალიდამ, რომ 21 მარტს, საღამოს 8—9 საათზე, მოხდა დიდი ჩხუბიო. თავ. სოლომონ ტუსიევს მოუგროვებია შვიდი კეტებით შეიარაღებული კაცი და დასცემია მეცხვარეებს. ტუსიევის მუშებს უნდოდათ, არ გაეშვათ ცხვრის ფარა, მწყემსებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ასტყდა ერთი თავ-პირის მტვრევა. მწყემსებისათვის ძრიელ უცემნიათ. მისულა სამაზრო პოლიცია. სოლომონ ტუსიევი თავის კაცებით დამალულა. ამბობენ, ტუსიევი იმიტომ დასცემია მეცხვარეებს რომ ცხვრის გასავლელს გზასა ჩემულობსო, თუმცა გლეხები ამბობენ, რომ გზა სოფლისააო და ყველას შეუძლიან ამ გზაზე იაროსო.

⁂ „Рус. Кур.“-ი გვაუწყებს, რომ ახლად დანიშნულ რუსეთის ელჩს სპარსეთში თავ. დოლგორუკოვს მინდობილი აქვს მოელაპარაკოს სპარსეთის მთავრობას რკინის გზის გაკეთების გამო ტფილისიდამ თეირანამდეო.

⁂ „Нов. Время“-ში ვკითხულობთ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ტროცკი, უფროსი საერო და სამხედრო უწყებისა გენერალი შეპელიოვი, ტფილისის გუბერნატორი ზისერმანი და სხვა წევრნი კავკასიის ადმინისტრაციისა ახლა კავკასიის საქმეების გამო პეტერბურგში არიან და მარტის 25-ს წაელენ კავკასიაშიო.

⁂ 23 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ავჭალის ქუჩაზე ბოსინის სახლებში პატარძეულში მცხოვრებელ ილიკო შაშილოშვილსა და იმის ამხანაგს სოფ. ახალ-გორში მცხოვრებელს წყალობა ალამჯანოვს ანგარიშის დროს ჩხუბი მოსვლიათ და შაშილოშვილს დაურტყამს ხანჯალი გულში ალამჯანოვისათვის, რომელიც გარდაცვლილა საავად-მყოფოში. დამნაშავე დაპატიმრებულია.

⁂ გლადიკავკავიდამ გვწერენ: მთის ოსებში სოფ. ნუზალში ერთი გავარდნილი ყაჩაღი ოსი დაიჭირეს. ეს ყაჩაღი სამი წელიწადი იყო გავარდნილი; გაიქცა გლადიკავკავის საავად-მყოფოდგან ერთის ამხანაგით. ამ ორს ჰქონდათ გადაწყვეტილი ქურდობისათვის თორმეტ-თორმეტი წელიწადი კატორღა. ერთი ამხანაგი ამ ყაჩაღისა ამას წინად დაიჭირეს ოსების ყარაულებმა. ავაზაკს დაჭერის დროს ტყვია მოარტყეს წვივში და წვივი მოსჭრეს. მეორეც ეხლა დაიჭირეს სოფ. ნუზალში. აი როგორ: სოფ. ნუზალში გაიარა თურმე ამ ყაჩაღმა მგზავრად. ეს ამბავი ნუზალის მამასახლისს შეასმინეს და მამასახლისი მაშინვე გამოუდგა ყაჩაღს ერთის ამხანაგით. მამასახლისი მალე მოეწია. ყაჩაღმა რომ შეატყო, ვედარსად წავალო, ცხენიდგან გადმოხტა, ცხენს თავი დაანება და გვერდში შეეფარა კლდეს. მამასახლისი გაბედვით წავიდა ყაჩაღთან და დაუძახა:

— მახამეთ, შენა ხარ?

— მე ვარ, უპასუხა ყაჩაღმა.

მამასახლისმა ტკბილის სიტყვებით დაარწმუნა ყაჩაღი რომ სხვა მეგონე, შენ არას გიზამ, წამოდი ჩემთან და საიდგანმე გაგაპარებო. მამასახლისმა ყაჩაღი მალე დაიყოლია. გზაზედ სამნივე ერთად მოდიოდნენ. ამ დროს მამასახ-

---

უნდა ყოფილიყო. მანამ ადამიანსა სჯეროდა, რომ დედა-მიწა ხარს უჭირავს რქებითა ან ვეშაპს ზურგითაო, ამაზედ შორს ვერც წავიდოდა. მაგრამ გაიარა დრომ, ადამიანმა მეტი გამოცდილება, მეტი სწავლა და ცოდნა შეიძინა, დედა-მიწას ბოძკინტები გამოაცალა, შეიტყო, რომ დედა-მიწას უხაროდ და უვეშაპოდაც შეუძლიან ჰაერში დადგომა, და აღარც ავი სულები დააყენა დედა-მიწაში. აგერ მზე, მთვარე და ვარსკვლავები ხომ არავის უჭირავს, მაგრამ კარგად დაცურავენ ცის სივრცეში, არა ცვივიან,—რატომ ჩვენს დედა-მიწას კი არ შეუძლიან ასევე უშიშრად იცუროს?

რაკი ადამიანმა ეს შეიტყო და დარწმუნდა კიდეც, რომ ეს ასეაო, რასაკვირველია, სხვა ღონისძიება, სხვა მიზეზი უნდა მოეძებნა იმ უბედურობის გასაგებად, ასახსნელად, რომელსაც მიწის-ძვრა ჰქვიან.

დღეს ცოტად თუ ბევრად მეცნიერებამ გზა გაიკვლია, ნათელი მოჰფინა იმ ქვესკნელ სიბნელეს, სადაც მიწის-ძვრას თავის სათაური აქვს. ადვილი არ იყო ეს საქმე: ადამიანს უნდა დედა-მიწისთვის გული გადეხსნა, ჩაეხედნა და გაეგო, რა აქვს იქ დაფარულად და საიდუმლოდ შენახული. ნუ დაივიწყებთ აგრეთვე, რომ ჩვენის დედა-მიწის ავ-კარგიანობაში ბევრი სხვაც ყოფილა დამნაშავე და პასუხის-მგებელი. ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს ბრწყინვალე, მადლით მოსილს მზეს, ჩვენს ნაზს ღამის მნათობს მთვარესაც-კი ამ შეთქმულობაში მონაწილეობა ჰქონიათ. დაუდგრომელი და მოუსვენარი წყალი ხომ არსად არ მოაკლდება.

აი რამდენი უნდა ესწავლა ადამიანსა, რამდენი რამ უნდა გაეგო, ვიდრე მიჰხვდებოდა, რა ხდება დედა-მიწაში, რა ძალა ტრიალებს ისეთი, რომ მიწას ასე არყევს. ცისა და ქვეყნისთვის უნდა თვალი გადაევლო ადამიანსა, ზესკნელი და ქვესკნელი უნდა გადაეჩხრიკა, რომ ნამდვილი მიზეზი შეეტყო. ბევრი, ბევრი ცდა, ბევრის ცოდნის შეძენა, ბევრი დრო უნდოდა ყველა ამას. ის, რაც დღეს მეცნიერებამ იცის ამ საგნის შესახებ, ბევრის საუკუნოების ნაშრომ-ნაღვაწია. ჩვენ, რასაკვირველია, აქ არ გამოვუდგებით იმასა, როგორ და რა გვარად მიმავალობდა ეს საქმე. ეს არც შესაძლოა აქ და არც საჭიროა,—ჩვენთვის ისიც საკმაო იქნება, რომ ვიცოდეთ, რას ამბობს, რას ასახელებს დღეს მეცნიერება მიწის-ძვრის მიზეზადა.

ესეც კი უნდა ვსთქვათ წინადვე, რომ ყველა მეცნიერები თანხმანი და ერთის აზრისანი არ არიან. მეცნიერება ჯერ გარდაწყვეტილად ერთს აზრს არ დასდგომია, მიწის-ძვრას სხვა-და-სხვა მიზეზს აბრალებს. მაინც უმთავრეს მიზეზად-კი ოთხს-ხუთს ასახელებენ. ვეცდებით მოკლედ ყველა ჩამოვუთვალოთ მკითხველებსა.

⁂

სახლი რომ დაიქცეს, ან კლდე დაინგრეს, გრიალი მოისმის და კარგს მანძილზე მიწაც შეინძრევა. ქუჩაში რომ ეტლმა გაიგრიალოს, მიწა ინძრევა და სახლები ზანზარებს. გამოჩენილ კრუპის ქარხანაში, სადაც უზარმაზარ ზარბაზნებს ასხმენ, ერთი დიდი რკინის უროა, რომელსაც 2,500 ფუთი სიმძიმე აქვს. ეს ურო ორთქლის ძალით ააქვთ და დააქვთ და ერთის საჟენ ნახევარ სიმაღლიდგანა სცემს გრდემლსა. ამ დროს ოთხის ვერსის მანძილზე ირგვლივ მიწა ისე ირყევა, რომ ხშირად შენობები ინგრევა ხოლმე.

წარმოიდგინეთ, რომ დედა-მიწაზედაც რომელსამე ადგილას დიდ მანძილზე მიწა მოირღვა და ჩაიქცა ძირს,—შეირყევა დედა-მიწა თუ არა? რასაკვირველია, შეირყევა. ასეთი ამბავი ხშირად მოხდება კიდეც ხოლმე. აი როგორ და რის გამო.

ზღვის წყალი ნელ-ნელა გამოსჭამს, გამოთხრის ხოლმე მიწას, მეტადრე თუ ზღვის პირი კირ ნარევი მიწაა. წყალი სრულიად გამოჰფხვრავს ხოლმე კირსა და ძირი მიწისა გამოიქავება ხოლმე. ძირ გამოთხრილი მიწა თავს ველარ იჭერს, მოირღვევა და ჩამოწვება ხოლმე. რასაკვირველია, რაც უფრო დიდი ადგილი ექნება წყალს გამოფხვრილი, მით უფრო დიდ მანძილზე მოირღვევა მიწა და დედა-მიწაც დიდს მანძილზედ შეირყევა. შეიძლება წყლისაგან გამოფუღრული რამდენსამე ალაგას იყოს, მაშინ მიწაც რამდენსამე ალაგას ჩაინგრევა და მიწის-ძვრაც უფრო დიდი იქნება.

აი ამ მიზეზს აბრალებენ ზოგნი იმ მიწის-ძვრას, რომელიც წარსულ თთვეში მოხდა და დიდი უბედურება დაატრიალა ნიცაში და ხმელთა-შუა ზღვის პირის ჩაყოლებაზე. ამ აზრისაა, სხვათა შორის, გამოჩენილი ასტრონომი ფლამარიონი, რომელზედაც ჩვენ ერთხელ გვქონდა ლაპარაკი. ფლამარიონი ასეთს ნუგეშსაც აძლევს ამ ადგილების მცხოვრებელს: მე მგონია, რომ ამ მიწის-ძვრის დროს ყველა გამოფუღრული ადგილები უნდა ჩაწოლილიყო ან ამოვსილიყო და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ალაგას მიწის-ძვრა კარგა ხანს აღარ იქნებაო.

ფლამარიონის აზრი კერძოდ ამ შემთხვევისათვის, შეიძლება, მართალიც იყოს, მაგრამ მიწის-ძვრის საზოგადო მიზეზად კი ვერ ჩაითვლება. ვერ ჩაითვლება ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი მიწის-ძვრა ძალიან დიდს მანძილს ვერ მოიფინება, და მეორე კიდევ იმიტომ, რომ ყველგან ხომ მიწის ქვეშ ასე წყლისაგან ჩარეცხილი და გამოფხვრილი ადგილები არ არის.

⁂

მეორე მეცნიერი ფალბი ამავე ნიცის მიწის-ძვრას სულ სხვა მიზეზს აბრალებს. თურმე ნუ იტყვით ეს უბედურება სულ მზისა და მთვარის ბრალი და საქმე ყოფილა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მზესა და მთვარეს მართლა დიდი გავლენა აქვთ ჩვენს დედა-მიწაზე, მეტადრე წყალზე. დიდ ზღვებზე ერთი გარემოება

ლისი მივარდა და წაართვა ყაჩაღს „ბერდანკა“. ყაჩაღმა შეჰყვირა და შეხტა კლდეზედ. ამოიღო რევოლვერი და აღარავის იკარებდა ახლოს. მამასახლისმა რომ ვეღარსაით რა მოუხერხა, კაცი გაჰგზავნა კლდის თავზედ და დაავალა დაეგორებინათ ქვები. ქვების ხმაზედ შეეშინდა ყაჩაღს და ჩამოვიდა ძირს. მამასახლისმა კიდევ დააშოშმინა ყაჩაღი და წაიყვანა თან. მამასახლისი ხელ-მეორედ მივარდა ყაჩაღს და დაუჭირა ხელები უკანიდგან. ყაჩაღმა თუმცა რევოლვერი დასცა მამასახლისს, მაგრამ ვერ მოარტყა, მხოლოდ ერთს სხვა ოსს ჩოხის კალთებში გაურბინა ტყვიამ. ამ ნაირად, ნუზალის მამასახლისმა შეკრული ყაჩაღი წარუდგინა მთავრობას.

## სიტყვა

თქმული აკაკისაგან 22 მარტს განსვენებულის იოსებ დავითაშვილის მოსახსენებლად გადახდილის პანაშვიდის დროს კალოუბნის ეკკლესიაში.

ბევრჯელ დავსწრებივართ, რომ ვისიმე სულის მოსახსენებლად დღევანდელზე მეტი ხალხი შეგროვილიყოს, უფრო დიდებული ალაპიც გადეხადოთ, მაგრამ დღეისთანა შესანიშნავი კი არ გვინახავს: რომელიმე გამოჩენილ გვამის სიცოცხლეშივე საჩინო მდგომარეობა, სიმდიდრე, სხვა-და-სხვა გვარი გარეგანი დიდებულობა, ნათესაობა, მტერ-მოყვრობა, პურ-მარილის კაცობა და სხ. და სხ. იძულებულს ჰყოფენ საზოგადოებას, რომ იმ გვარ კაცს, არა თუ მარტო სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც უკანასკნელი პატივი სცენ. ასეც არის ხოლმე, მაგრამ ამ გვარად გამოწვეულ პატივის-ცემაში უფრო მეტად ვალდებულებითი რამ იხატება და არა გულითადი. არც ერთი ამ ზემო მოყვანილ ღირსებათაგანი სიცოცხლეში არა ჰქონია განსვენებულს იოსებ დავითაშვილს. ის იყო ერთი საწყალი დღიური მუშა გლეხი, რომელსაც არც ჩამომავლობა და არც ნათესაობა არავინ ჰკითხულობდა. ყოველი რიგიანი და შეგნებული კაცი იმას ჰსახავდა კარგ ადამიანად და ძმურის თვალით უყურებდა. განა პურ-ღვინით შეეძლო განსვენებულს სხვებისავით ზოგიერთების გულის-მოგება, როდესაც თვითონ დღიურ საზრდოს მოკლებული იყო. მაგრამ ჰხედავთ ამ გასაკვირველ ამბავს, რომ ამოდენა სხვა-და-სხვა წოდების მუშა-ხალხი თავის საკუთარ საქმეს მომცდარა და შეკრებილა დღეს აქ, რომ გულ-წრფელად, და არა ვალდებულებით, პატივი სცეს მის სახელს. რითი დაიმსახურა ეს მიცვალებულმა? ის არ ყოფილა არც გამოჩენილი მეცნიერი და არც სამაგალითოდ შესანიშნავი მწერალი. შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ მარტო მოლექსეობისათვის ვსცემდეთ მას პატივს. დაბალ-წოდებაში ნიჭი იშვიათი არ არის და არც მოშაირობაა განსაკუთრებითი მოვლინება. განსვენებული იმითი იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არა ჰფიქრობდა, რამოდენადაც საზოგადოებაზე. მისი გრძნობა-გონება იმაზე ჰქონდა მიპყრობილი, რომ მოძმეების კეთილ-დღეობას მოსწრებოდა, მათი სწორ-წარმატება ენახა. ეს სურვილი სიტყვად ჰქონდა გადაქცეული და სიტყვაც საქმედ შეძლებისადა გვარად. ახლანდელ დროში, როდესაც ყველა ჰფიქრობს, რომ თავისი პირადი მდგომარეობა გაიუმჯობესოს და უგუნურთ-უმეტესობის თვალში ხარისხი და პატივი მოიხვეჭოს, ამ გვარის კაცების გამოჩენა, როგორიც იყო მიცვალებული, შესანიშნავი და დიახ სამაგალითოა. და ეს დღევანდელი კრებაც გვიმტკიცებს, რომ ადამიანის ღირსება ხალხში არ იკარგება ფას-დაუდებლად. კარგი კაცები, მარტო მითი კი არ არიან სასარგებლო, რომ სიცოცხლეში თავის თავად ბევრს კარგს რამეს აკეთებენ, ისინი სიკვდილის შემდეგაც თავის სახელით სხვებსაც იწვევენ საკეთილ-მოქმედოდ. დღევანდელი საქმეც კარგი და სამაგალითო მოვლინებაა. ლარიბს შეუძლიან დარწმუნდეს, რომ ჩვენში სრულიად საჭირო არ ყოფილა მრუდე გზით შეძენა. საკმაო არის მხოლოდ იყოს პატიოსანი, შრომის მოყვარე, საზოგადო კეთილ-თანამგრძნობი და თანა-მოზიარე, და ის შეუნიშნავი და დაუფასებელი არ დარჩება... გამოიწვევს რიგიანის წრის სიყვარულსა და პატივის ცემას... საუკუნოდ იყოს ხსენება იოსებ დავითაშვილისა, რომელმაც ჩვენ გამოგვიწვია მისდა სულის მოსახსენებლად და გაუმარჯოს იმათ, ვინც ცხოვრებაში იმას მიჰბაძვენ და მისგან ამორჩეულ სწორ გზას დაადგებიან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რა ამბავია პოლიტიკაში? „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“,—თუ დავუჯერებთ გაზეთებსა, ევროპამ მშვიდობიანობა მოიწადინა, ომების ხმა აღარ ისმის, თუმცა თოფ-იარაღს კი ძირს არავინა სდებს. თუმცა საქვეყნოდ კი მშვიდობაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად კი რაღასაც აპირებენ და ემზადებიან. აი, მაგალითად, გაზეთი „Свѣтъ“-ი რას მოგვითხრობს:

ბოლგარიის მმართველები დიდად ცდილობენ, რომ ინგლისელებს კიდევ რითიმე აამონ, ვარნის ციხეს ამაგრებენ და ახალს რაღასაც აპირებენ. ვენაში ცდილობენ ინგლისი თავისკენ მიიმხრონ, ბერლინში სიხარულით ცას ეწევიან. ბისმარკს სამის საათის განმავლობაში საიდუმლო ბაასი ჰქონდა რუმინიის მეფესთან. გაზეთებში გაუთავებელი ლაპარაკია სახელმწიფოთა შორის კავშირის დაჭერაზე: ხან გერმანია, ავსტრია და იტალია უერთდებიან ერთმანეთს ვილასიც წინააღმდეგ, ხან გერმანია, ავსტრია და რუსეთი ერთმანეთს უმეგობრდებიან კიდევ ერთსა და იმავე მტრის წინააღმდეგ.

მოდით და აქ გაიგეთ რამე. საქმები ისე აეწეწათ, აერივ-დაერივათ დიპლომატებს, რომ, მგონი, თითონაც აღარ იციან, საიდგან და როგორ მოუარონ საქმესა.

* * *

რა უნდა ეშველოს საქმესა, რომ ევროპაში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. სათხუნჯო ჟურნალი „Будильникъ“-ი კარგს წამალს ურჩევს:

აიღეთ თანასწორადაო,— დარიგებას იძლევა ჟურნალი,—რუსების სულგრძელობა და მოთმინება, ფრანგების შურისმაძიებლობა, გერმანელების თავისუფლება პარლამენტში, ავსტრიელების ერთობა, ოსმალების მძულვარება ფულისა, ინგლისელების უანგარობა, იტალიელების გულადობა და პირიანობა და ბოლგარების წესიერება,—ყველა ეს ერთად აურიეთ, გალესეთ, მერმე დააგუნდავეთ, შეახვიეთ დიპლომატების საიდუმლო ქაღალდებში და დღე-გამოშვებით ჰყლაპეთ.

ურიგოდ არ არის შეზავებული ეს წამალი, თუმცა იმედი კი არა გვაქვს რომ გასჭრას და დიპლომატებზე იმოქმედოს.

## პატარა ფელეტონი

### მდაბიო ხალხის მკურნალობა სვანეთში.

ჩემდა სამწუხაროდ ეს წერილი სრულს ცნობებს ვერ მისცემს ცნობის მოყვარე მკითხველს სვანების მკურნალობაზე, თუმცა ცდა არ დამიკლია მის შეტყობისათვის. ვერც ნათესავებურმა დამოკიდებულებამ, ვერც ნაცნობობამ ექიმებთან და ვერც სხვა ღონის-ძიებამ ვერ გასჭრეს და ვერ გაამჟღავნებინეს ჩემთან სვანების ექიმებს თავიანთის ხელობის ყოველივე საიდუმლო. მოგეხსენებათ, მაგისთანა გაუნათლებელს ხალხში, როგორიც არიან სვანები, ექიმობა ლუკმის მომცემი ხელობაა. ამ ხელობას, ე. ი. მდაბიო ხალხის მკურნალობას, ერთი ზნე სჭირს: თუ იგი სხვამ გაიგო, ესეც მალე ისწავლის ამ ხელობას, როგორც ადვილს და მარტივს საქმესა, და ამ ნაირად ართმევს ლუკმას პირველს მცოდნეს. ეს არის მიზეზი, რომ ექიმობის ცოდნა მარტო ერთს ოჯახში, ერთს თემში ტრიალებს რამოდენიმე ათი და ასი წელიწადი. ექიმი-მამა შვილს უანდერძებს თავის ხელობას, როგორც სამკვიდრებელს და თუ შვილი არა ჰყავს—ცოლს. იშვიათია, რომ ძმამ ძმას განუზიაროს ექიმობის ცოდნა. ცხადია ამის გამო, რა ძნელია გარეშე კაცისათვის ექიმობის დაწვრილებით შეტყობა. ასეა, მაგრამ სულ არარაობას მაინც ვარჩიე, ის განვუზიარო მკითხველებს, რის შეტყობაც მოვახერხე.

სვანეთში ექიმობაში ძალიან განთქმულნი არიან «გვიჭიანები», რომელნიც სცხოვრობენ თავისუფალ სვანეთს, ლატალის საზოგადოებაში, სოფ. იფხს. აი რა მიამბო ბექმურზა გვიჭიანმა, რომელიც პირველ ექიმად ითვლება სვანეთში, თავიანთ ექიმობის სწავლის შესახებ.

ძველის-ძველად—სთქვა ბექმურზამ, ერთი ჩვენი წინაპარი ყორეზე მჯდარა; ახლო გველს გამოუვლია, გვიჭიანს ქვა დაუცია და გველი ზედ შუაზედ გაუწყვეტია. შუად გაწყვეტილის გველის ნახევარი (თავისკენ) ახლო ბალახებში შეცოცილა, მოუჭრია რაღაც ბალახი, წამოუღია იქ, სადაც თავისი მეორე ნახევარი ეგდო, ბალახი გაწყვეტილ ადგილზე მიუტკეპებია, მერე აბრუნებულა და ბოლო მიუჯდვია ბალახისათვის. ამ ნაირად ეს ბალახი ორად გაწყვეტილ ნახევრების შუა მოუტანებია. რამდენისამე ხნის შემდეგ გველის ნაჭრები ერთმანერთს შეჰხორცებია და გამთელებული გველი თავის გზაზე წასულა. გვიჭიანს ამისათვის თვალ-ყური უდევნებია. გველი ისევ მოუკლავს და მოუძებნია იმ გვარი ბალახი, რომელიც მარტო ჩვენ ვიცით და რომელიც უებარი წამალი გამოდგა ჭრილობისათვისაო.

როდესაც ვკითხე, რატომ ამ ბალახს სხვებს არ უმჟღავნებთ-მეთქი, ბექმურზამ გაიცინა და მითხრა: „ჩვენ რომ ეს ბალახი სხვას გავუმჟღავნოთ, ჩვენ რიღასი მაქნისი ვიქნებითო“.

მართლა და გასაოცრად მალე და უებრად არჩენენ გვიჭიანები მძიმე ჭრილობას ამ ბალახით. იქ, სადაც მეცნიერებით აღჭურვილი ექიმი დანას და ხერხს იხმარებს, რომ მძიმედ დაჭრილს დაშავებული ასო მოჰკვეთოს, გვიჭიანები ამ შესანიშნავის ბალახით რამოდენსამე კვირას და თთვეს არჩენენ. მაგალითი ვიცით, რომ ქუთაისის სამკურნალოში ერთი ფეხ-მომსხვრეული სვანი შეიყვანეს და ექიმებმა გარდასწყვიტეს, ფეხი უნდა მოვჭრათო. სვანი არ დათანხმდა, გასწია გვიჭიანთან, რომლის წყალობითაც დღეს ამ სვანს ერთის მაგიერ ორივე ფეხები აბია.

---

შესანიშნავი: ზღვის ტალღა ხან სრულიად უკუ-იქცევა და ნაპირს კარგს მანძილზე მოჰშორდება ხოლმე, ხან ისევ მოითქვილებს, მოაწევება და ნაპირს აქეთ ზოგჯერ დიდს მანძილს გადმოჰლახავს ხოლმე. ასე, მეტად თუ ნაკლებ, ყოველ ექვსის საათის განმავლობაში, მიდის და მოდის ზღვის წყალი, ხან ნაპირს გადმოვა, ხან სრულიად მოჰშორდება.

ამ გარემოებას მეცნიერება იმითი ჰხსნის, რომ მზე და მთვარე იზიდავს წყალსაო. ექვსის საათის განმავლობაში მზე და მეტადრე მთვარე იზიდავს, მაღლა ეწევა წყალსა და ნაპირს აშორებს, მერე მეორე ექვსს საათს ცოტად მოუშვებს ხოლმე, წყალი ისევ თავის დონეზედ დადგება და ნაპირისკენ წამოვა ხოლმეო.

თუ მზე და მთვარე დედა-მიწას ერთს მხარეს მოექცნენ, რასაკვირველია, მაშინ უფრო დიდის ძალით მიიზიდავენ ზღვის წყალსა. ესეთი ამბავი მოხდება ხოლმე მზის დაბნელების დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც მიწას ერთს მხარეზე მოექცევიან და ამასთან მთვარე მზისა და დედა-მიწისა შუა ჩადგება ხოლმე. მართლაც და ნიცის მიწის-ძვრის დროს ამერიკაში იყო მზის დაბნელება. აი ფალბი კიდეც ამიტომ მზესა და მთვარეს აბრალებს ამ მიწის-ძვრასა. ამ დღისა და ღამის მნათობთა ძრიელ მიიზიდეს ზღვის წყალი, ძალიან მაღლა ასწიეს, დედამიწას ცოტა სასწორის უღელი შეუშალეს და მიწა ამიტომ იძრა, შეირყაო: სასწორის ერთს თეფშს რომ მაღლა ასწიოთ, მეორე უთუოდ დაბლა დაიწევს და უღელი ავა და დავა, რყევას დაიწყებს.

შეიძლება ამას გავლენა ჰქონდეს მიწის-ძვრაზე, თუმცა არც კი ეს ჩაითვლება უმთავრესს მიზეზად,—მზის დაბნელებას ყოველთვის არ მოსდევს ხოლმე მიწის-ძვრა.

* * *

მზე და მთვარე ხომ არიან ამ ქვეყნის უბედურებაში გარეულნი და არიან და ეს ვარსკვლავებიც არ ჩამორჩომილან ამათ უკან. ვამბობთ ვარსკვლავებს, თუმცა უნდა გამოვსტყდეთ, რომ ცოტა არ იყოს ცილსა ვსწამებთ ამ ცის კაშკაშა მნათობებსა. ცილსა ვწამებთ ამიტომა, რომ იმათ, რასაც ჩვენ ვარსკვლავებს ვეძახით, ძალიან შორეული ნათესაობა აქვთ ვარსკვლავებთანა.

ხომ გინახავთ ყველას, ცაში რაღაც რომ გაიკრიალებს, გაანათებს და ერთბაშად ისევ გაქრება ხოლმე. ეს რაღაც არის დედამიწაზედ ცვივა. ვარსკვლავი ჩამოვარდაო,—ვიტყვით ხოლმე ჩვენ. ბევრი ჩვენგანი არამც თუ დარწმუნებულია, რომ მართლა ვარსკვლავი ჩამოვარდა, ისიც კი სწამს, რომ ვარსკვლავის ჩამოვარდნა უთუოდ ვისიმე სიკვდილს მოასწავებსო. ტყუილია!

ღმერთმა გვიხსნას ამ გვარ უბედურობისაგან. არც ერთი ვარსკვლავი არ არის, რომ ჩვენს დედა-მიწაზე ათჯერ და ოცჯერ დიდი მაინც არ იყოს. ღმერთმა კი დაგვიფაროს და ეს უზარმაზარი რაღაცა რომ ჩვენს დედა-მიწას დასცემოდა, ხომ სულ მტვრად აქცევდა ამ ჩვენს საწყალს ქვეყანას.

არა ის ვარსკვლავები, რომელიც დედა-მიწაზე ცვივა ხოლმე, სრულიად უგვარ-ტომო მატანტალეები არიან და ნატეხი, ნარღვევია იმისთანავე სამყაროსი როგორც ჩვენი დედა-მიწაა. ამბობენ, როდისღაც ამათაც ჰყოლიად ისეთივე დედა, როგორიც ჩვენი მიწაა, მაგრამ ამათ დედას რაღაც უბედურება შეჰმთხვევია, სამუდამოდ დამსხვრეულა, დარღვეულა, შვილები გაფანტულან და აი მას აქეთ დაეხეტიალებიან ასე უპატრონოდ, უგზოუკვლოდ ცის სივრცეში, ვისთანაც მოჰხვდებათ, იმას მიეკედლებიან. ჩვენს დედა-მიწასაც ბლომად ეწვევიან ხოლმე და მეტადრე მარიამობისთთვეში მოგვესევიან ხოლმე ჩვენ. ზოგ ადგილას ისე ბლომად ცვივა, რომ გეგონებათ სინათლის წვიმა მოდისო.

მეცნიერები ამ „ვარსკვლავებს“ „ჰაეროლიტებს“ ეძახიან, ე. ი. ჰაერის ქვებსა. მართლაც და ეს „ჰაეროლიტები“ სრულიად ჩვენს მიწასა ჰგვანან, ცოტა ქვასავით გამაგრებულნი კი არიან და ამიტომ ქვებს ეძახიან. «ჰაეროლიტი» არც დიდია, 50 ფუთზე მეტი ჯერ არ უნახავთ. ესეთი „ჰაეროლიტი“ ციმბირში იპოვეს. ბევრი კი რამდენსამე გირვანქაზე მეტს არ იწონს.

* * *

აი ამ ვითომ და „ბედის ვარსკვლავებს“ ანუ, სწორედ რომ ვსთქვათ, „ჰაეროლიტებს“ დიდი გავლენა ჰქონიათ მიწის-ძვრაზედ. ამ აზრს ადგა მეცნიერი ცენგერი. აი საქმე რაშია. როდესაც ეს „ვარსკვლავები“ დედამიწაზედ ცვივა, ჰაერის ტრიალს ასტეხს და კუდიან ქარსავით უშველებელ ქარ-ტეხილს ააყენებს ხოლმე. ეს ქარ-ტეხილი დატრიალდება ხოლმე დედა-მიწაზე და მოივლის ყველა ადგილებსა და, რასაკვირველია, ქვესკნელისაკენაც გზასა ჰპოულობს და ჩადის. და აი სადა კი დედა-მიწის ფუღუროებს, დედა-მიწის ქვეშ დამალულ თბილ წყლებს, ბუღს (გაზს) იპოვის, ყველგან დატრიალდება, აჰრევს-დარევს, ერთს ვაი-ვაგლახს მოახდენს. წყალი, ქარი, ბუღი,—ყველა ერთბაშად მოაწვება ქვეშიდამ და შეარყევს, შესძრავს დედა-მიწასაო.

თუ ცენგერის აზრი მართალი გამოდგა და დამტკიცდა, რომ ეს „ჰაეროლიტები“ არიან მიწის-ძვრის მიზეზი, მაშ იქნება ჩვენს ხალხს მართალი შეუნიშნავს, რომ ამ ვარსკვლავებისთვის „ბედის ვარსკვლავები“ დაურქმევია: თუ ამ „ვარსკვლავების“ ჩამოცვივნას არა, ამათგან გამოწვეულ მიწის-ძვრას ხომ ზოგჯერ ხალხის ჟლეტაც მოსდევს ხოლმე.

რაც უნდა ჰკუას ახლოს იყოს ცენგერის აზრი, მაინც ესეც ვერ ჩაითვლება უმთავრესს და საზოგადო მიზეზად. შეიძლება ამ „ჰაეროლიტსაც“ დიდი გავლენა ჰქონდეს მიწის-ძვრაზედ, მაინც უმთავრესს მიზეზად-კი მეცნიერება სხვას ასახელებს.

რა არის ეს მიზეზი,—ამაზედ დაწვრილებით შემდეგს ფელეტონში მოვილაპარაკებთ.

დონ-იაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბალახის გარდა ყველა სვანეთის ექიმები თითქმის ერთს წამალს ხმარობენ: ბალახეულობას, თუ სხვას. „სვანის ექიმი, მართალი რომ ვსთქვათ, დოსტაქარია და არა-რა სხვა. შიგნით ავად-მყოფობისა ან არაფერი იცის, და ან სულ ცოტა. გადამდებ სნეულებათა წამლობა ხომ თავშიაც არავის მოუვა სვანეთში, რადგან, სვანის აზრით, ამ გვარი სენი ღვთის მოვლენილია (ღერთემი მეფშდვე) და ღმერთს თუ უნდა მოარჩენს ავად-მყოფს, თუ არა და მოჰკლავს, წინ ვერავინ ვერ დაუდგება.

იარის, ჭრილობის მოსარჩენად სვანის ექიმები ხმარობენ: ერთ ნაირ საფხეკ თეთრს ქვას, ნაძვის ფისს (ორივე ესენი ჭრილობას სწმენდენ, დალპობას უშლიან ხორცს), მარგი მუშკს, რომლის თვისება, ალბად, ყველას ეცოდინება; «კირბილ»-ს (порошокъ), ე. ი. ბალახების ფოთლებს, რომელთაც გახმობის შემდეგ ფშხვნიან და ფქვილად გადაქცეულს წყლულზე აყრიან. „კირბილ“-ი სამ ნაირი იციან: ერთი ჭრილობას, წყლულებსა სწმენდს, ასუფთავებს, მეორე აშრობს და მესამე არჩენს; „ჭილ“-ს, ე. ი. სხვა-და-სხვა ბალახების ძირებს; იციან ხუთ ნაირი „ჭილ“-ი: ერთს ხმარობენ მაშინ, როდესაც ტანზე ნატკენი ადგილი დაუმწიფდება და ბალღამი დაუწყებს დენას; მეორე ნაირი «ჭელ»-ი (მაგალითებრ, წამთვრი ძირ) ამწიფებს გასიებულს ადგილს; მესამე—ბალღამის გამოსასვლელს მილს აფართოვებს და ასუფთავებს; დანარჩენი ორ ნაირი „ჭელი“-ი იარას, ჭრილობას არჩენს.

იციან მალამო. აიღებენ ღორისა და თხის ქონს, ფისს, წმ. სანთელს, კვერცხის გულს; შიგ გაურევენ სხვა-და-სხვა ბალახების ფშხვნილს, ყველა ამაებს ერთმანერთში მოადუღებენ და აკეთებენ სვანურ მალამოს. ჭიის წამლად ხმარობენ „ნაყმდელ“-ის (ბალახია) ძირს. ეს წამალი ავად-მყოფს ასაქმებს წინ და უკან. ნაღრძობისა და გატეხილის უებარ წამლად მიაჩნიათ „მელენი“-ს (ბალახია) ძირი. ამ ბალახის ძირს ამოაძრობენ რა მიწიდგან, გაჰფხეკენ, ნაფხეკს ჰინჭზე წაასხებენ და მიადებენ მოღრძობილ-მოტეხილს ადგილს. ეს წამალი აქრობს აგრეთვე სიმსივნეს; ამასვე ხმარობენ გულის ტკივილის დროს სასმელად, ამასაც ფურშუკსავით აკეთებენ.

იციან ხავიწიც. იარის პირის შესაკრავად ხმარობენ საქონლის ძარღვების ნაფხეკს; თავის ძვლების შესამთელებლად ხმარობენ სპილენძის ნაფხეკს, ბალახებში გარეულს. სვანის ექიმებმა იციან ნალველების ხმარებაც წამლად; იციან სისხლის გაღებაც.

ყველა ბალახებს, რომლების ფოთლებს, ან ძირებს წამლად ხმარობენ ექიმები, ჰკრეფენ 15 აგვისტომდე, ე. ი. სანამ ნორჩი არის. სვანების ექიმები კარგად არჩენენ დურბელს, სიქაჩლეს და მჭამელასა. არიან ექიმები, რომელნიც ცვედნების მორჩენასაც ხელსა ჰკიდებენ. მაგალითად, მულახის საზოგადოებაში სორეხ დადუანი. ექიმები და ამათგან მორჩენილებიც გვარწმუნებენ, რომ ეს სნეულება ნამდვილად ჰრჩებაო. რას ხმარობენ წამლად—არავის უმჟღავნებენ. დარწმუნებით ამბობენ ხალხში, რომ ზოგან უშვილოსნობის წამალიც იციანო, ე. ი. ამ წამალს რომ ქალი მიიღებს, შვილი აღარ ეყოლებაო. წამლად სთვლიან ერთ ბალახის ძირს, რომელსაც ისეთი სახე აქვს, როგორც ხელს ხუთივე თითით. როგორც ეს ბალახი, ისე მისი მცოდნე და მხმარებელი ექიმი დიდს საიდუმლოს შეადგენს ხალხისთვის. მგონი რომ ეს უშვილოსნობის წამლობა ტყუილად მოგონილი ამბავი არ უნდა იყოს. ამის დამწერს ხშირად გაუგონია მომჩივან ქმრისაგან, რომ რაკი არც ცოლს და არც მის დედ-მამას არ უყვარვარ, ამისათვის ცოლმა ვილაცას შვილოსნობა „მოაჭრევინა“, მოასპობინაო (ლიგზელი ათქვიცნე). ამბობენ აგრეთვე, რომ ამა და ამ ქალს ვილაცამ „შვილოსნობა ამოაშობინა“ (ლიგზელი ახვიშდვნე). როგორც უშვილოსნობის, ისე მცვედნების წამალი, ხალხის აზრით, ვითომ ქალების ხელისაგან გამოდის. ჩადიან ამას, რასაკვირველია, იდუმალ. წინაამღდეგ შემთხვევაში ამ ბოროტების ჩამდენს დედაკაცებს ხალხი უთუოდ ჩაჰქოლავდა.

სამწუხაროდ, სვანეთში მოწამვლაც იციან. სხვათა შორის, ერთი საწამლავი რკინის ნაფხეკია, რომელსაც სასმელში აურევენ და ისე ასმევენ, ვისი მოწამვლაც უნდათ. ეს საწამლავი რამდენისამე წლის შემდეგ ჰკლავს კაცს.

ექიმის გასამრჯელო ცოტა იციან. პირველ მოწვევაზე ექიმს ეძლევა ერთი „ლერქვაში“ (1 მან.), რომელსაც „ხეჭიკ“-ს ეძახიან. ექიმი ავად-მყოფთან უნდა იყოს და ამის ხარჯზე სცხოვრობდეს აქა. თუ ისე მოხდა, რომ მოსარჩენი ექიმისას არის, მაშინ ეს იღებს თავის და ავად-მყოფის როჭიკს. ექიმს ეძლევა მსუბუქ ჭრილობისათვის 3—8 მანეთამდე; ხანჯლით დაჭრილისაგან, თუ ძვლებამდე არ არის ჭრილობა დასული — 10 მან., თუ დაჭრილს ასო გაუხმა—30 მან., თოფით დაჭრილისაგან, თუ ტყვია ასოშია გასული, ერთი ხარი; დურბლისა და მჭამელის მორჩენაში—60 მანეთამდე. მორჩენის შემდეგ ექიმს საჩუქარი უნდა მიერთოს და თუ რა საჩუქარი იქნება, კაცზეა დამოკიდებული. თუ დაჭრილობა ისევ განუახლდა — ექიმმა უსასყიდლოდ უნდა უექიმოს. ექიმს ხალხში დიდი პატივი აქვს და ყველასია. თუ მტერმა მიიწვია, უარს ვერ ეტყვის ექიმი. „აქიმ, პაპ ი მუშკიდჩიმიშ ლი“ (ექიმი, პაპი და მჭედელი ყველასიაო),—ამბობს ხალხი. თავის შეგირდისაგან ექიმი იღებს სწავლებისათვის: ძროხას, ხარს, ცხენს და მეტსაც. ნუ დავივიწყებთ, რომ კარგი ექიმი მარტო მცირედ რამეებს განუზიარებს შეგირდს და არა მთელს თავის ცოდნას.

თავისუფალი სვანი

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ვარნაში სამხედრო არეულობა მომხდარა, მაგრამ ეს ამბოხება მაშინვე დაუმშვიდებიათ. დაუპატიმრებიათ ენჩოვი, გეშოვი, ტენევი, კალსამოვი, კასაბოვი, ბარნევი, შოპოვი, კეჩოვი, სტოიანოვი, ამას გარდა იუნკრები დაუჭერათ და ოც-და-ათი კიდევ უნტერ-ოფიცერი. მაზრის უფროსი ჩერნოვი და დრუჟინის კომანდირი კარაჩოვი სამსახურიდგან დაუთხოვნიათ; სადეპეშო სადგურის უფროსი სტოგეროვი სადღაც გადაკარგულა. ვარნის ნავთ-სადგურები შეიარაღებულია და გამაგრებული. სტოილოვს ვენაში პრინცი კობურგი უნახავს. სილისტრიაში ხელ-ახლად ამტყდარა არეულობა.

— პარიჟელი კორრესპონდენტი გაზ. „Kreuz Zeitung“-ისა ამბობს, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ახლა ბოლგარიის მთავრის ამორჩევის ფიქრშია. კორრესპონდენტის სიტყვით, ამ ბოლოს დროს რუსეთი და ოსმალეთიიმიტომ გაუდგნენ შორს ერთმანერთს და გაუგუცრილდნენ, რომ რუსეთმა სთხოვა ოსმალეთს აღმოსავლეთს რუმელიაში შენი ჯარები ჩააყენე და ოსმალეთი არ დასთანხმდა და არ შეუსრულა რუსეთს სურვილიო. ხმა გავრცელდა, რომ ბოლგარიის სამთავრო კანდიდატად შვედიის პრინცი ოსკარი უნდა დაჰნიშნონო; პრინცი ოსკარი 1859 წელს არის დაბადებული. პრინცი გიორგი ლეიჰტენბერგი, რომელიც ამ ჟამად პარიჟშია და რომელზედაც ლაპარაკობენ, ბოლგარიის სამთავრო კანდიდატად უნდა დაჰნიშნონო, როგორც ამბობენ, ძალიან მოწადინებულიც არ არის ბოლგარიის მთავრად ყოფნასაო.

**გერმანია.** ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრსა ჰლაპარაკობენ იმაზედ, რომ აღმოსავლეთის საქმის დაბოლოვება რუმინიის ხელ-შეუხებლობასა და თავისუფლების დაცვაზეა დამოკიდებულიო. ყველას ის აფიქრებს, რომ გაითუ ბოლგარიის მტერი რუმინიიდგან დაეცეს ბოლგარიას და თავისი ჯარები ჩააყენოსო. აი ამ საგანზედვე რას ამბობს გაზ. „Morning Post“-ის ერთი ბერლინელი კორრესპონდენტი: ბოლგარიის მტრებს ბოლგარიაზედ რუმინიიდგან დაცემის იმედი ახლა-კი გაუცრუვდათ. ამ დღეებში ბერლინში მოვიდნენ რუმინიის მეფე-დედოფალი იმის გამო, რომ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს 90 წლის დღეობა მიულოცონ. სხვათა შორის მათს მოსვლას კიდევ ის მიზეზი ჰქონდა, რომ ვილჰელმისთვის ეთხოვნათ რუმინიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხელ-შეუხებლად დაცვა. როგორც გავიგეთ, რუმინიის მეფე-დედოფალი აქედგან ძალიან მადლიერნი და გულ-გაკეთებულნი დაბრუნდნენ; ეტყობა, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი დაჰპირდა, რომ ყოველსავე ღონის-ძიებას ვიხმარებ რუმინიის დამოუკიდებლობა ხელ-შეუხებლად იქმნეს დაცული და ამით ბოლგარიასაც მტრების შევიწროვებიდგან დიდი შეღავათი მიეცესო.

— გერმანიის ჟურნალ-გაზეთებმა ხელახლად დაიწყეს საფრანგეთის კიცხვა და ძაგება, რომ საფრანგეთი ომს არის მოწადინებული, ელზას-ლოტარინგია ვერ დაუთმია და დღეს არის თუ ხვალ უეჭველია შურის-ძიებას და სამაგიეროს გადახდას მოიწადინებსო. მაგალითებრ, ბისმარკის გაზეთი „Morddeutsche Allgemeine Zeitung“-ი ამბობს: ამ უკანასკნელის ოცი-სამის კვირის მშვიდობიანობა მხოლოდ თვალთ-მოსაჩვენებელი მშვიდობიანობა იყოვო; არ გვინდოდა, რომ იმპერატორის ვილჰელმის 90 წლის დღეობა რაიმე უსიამოვნო ამბავს დაეჩრდილა და ამიტომ ხმა-მაღლა გვიძახოდით, მშვიდობიანობა დაცული იქმნება და ომისა და ბრძოლის შიშმა გაიარაო; თორემ დარწმუნებულნი ვართ, რომ საფრანგეთი დღეს იქნება თუ ხვალ თავისას არ დაიშლის და შურის-ძიებას გულში არ მოიკლავსო.

## განსართობი

რა უფლება აქვს ქმარსა? ამას წინად პარიჟის იურისტებს კრება ჰქონდათ იმაზედ მოსალაპარაკებლადა, რომ აქვს თუ არა ქმარს ცოლის წერილების გახსნის უფლებაო და გარდასწყვიტეს, რომ აქვს ნებაო. ამ საგანზედ საფრანგეთის ბევრს გამოჩენილს მწერალს წარმოუთქვამს თავისი აზრი და სხვათა შორის ალექსანდრე დიუმას, პრესსანსეს, ქ-ნს ადანს და ქ-ნს პეიბრუნს, რომელიც ყველგან ცნობილი და სახელ-განთქმული რომანების მწერალი ქალია. ალექსანდრე დიუმას უთქვამს: „ცოლი მორჩილებისათვის არის გაჩენილი და ამიტომ არავითარიმე საიდუმლო არ უნდა ჰქონდეს ქმრისაგანაო“. ამისთანა პასუხს არავინ მოელოდა თურმე პარიჟში „Francillon“-ის დამწერისაგან. დასასრულ კიდევ დაუმატებია დიუმას: „ის ქმარი, რომელსაც თავის ცოლზედ ეჭვი აქვს აღებული და ცოლის წერილს ამ ეჭვის გამო კითხულობს, სულელია და სხვა არა-რაო“. პრესსანსეს უთქვამს, რომ ფრანგები საზოგადოდ ზრდილობიანები და თავაზიანები არიან და ვგონებ ზრდილობა ნებას არ უნდა აძლევდეს ცოლის წერილების წაკითხვისასაო. ორსავე მწერალს ქალს-კი წინაამღდეგობა გაუწევიათ, რომ უსამართლობაა ქმარს ცოლის წერილების გახსნისა და წაკითხვის ნება ჰქონდესო. ქ-ნს ადანს უთქვამს: „თუ ჩვენში ქმარი თავის ცოლზე რაისამე ეჭვს აიღებს, ზრდილობისა და თავაზიანობის გამო არაფერს ეუბნება თავის ცოლს და ამით ქალის მშვიდობიანობა დაცული და ხელ-შეუხებელიაო; ხოლო თუ ქმარს კანონის ძალით ნება ექმნება, რომ თავის ცოლის ყოველს ფიქრსა და აზრს თვალ-ყური ადევნოს, მტარვალი შეიქმნება ცოლისა და თუ კი ერთი ეჭვი აიღო, თუ გინდა უსაფუძვლოც იყოს ეს ეჭვი, სასტიკად მოპყრობას დაუწყებს და თავისუფლად აღარ ამოასუნთქებინებს თავის ცოლს, უშემწეოსა და სუსტს არსებასაო“.

## დეპეშა

23 მარტი

**ბომბეი** (დეპეშა „რეიტერის სააგენტოსი“.) ლაგორის გაზეთის სიტყვით ავღანის ემირი ძალიან შეწუხებულია იმის გამო, რომ სხვა-და-სხვა ერნი ერთმანერთს შეუერთდნენ ემირის საწინააღმდეგოდაო და ამ მიზეზით ემირმა მიჰმართა შემწეობისა და რჩევისათვის ინდოეთის მთავრობასაო. ემირმა თავის განძეულობის მომეტებული ნაწილი ფაიზაბადში გაჰგზავნა, საცა თავადაც წავა, თუ დამარცხდაო.

**ვენა.** გრაფმა კალნოკიმ მიიღო გუშინ სტოილოვი და დიდხანს ილაპარაკეს. სტოილოვი ჯერ კიდევ არ წასულა ვენიდამ.

24 მარტი

**პეტერბურგი.** გაზეთი „Новости“ გვაუწყებს: ფინანსთა სამინისტროს შესაძლოდ დაუნახავს გერბის ქაღალდის გადასახადი (гербовый сборъ) ოთხ აბაზამდე აიყვანოს, წინანდელ სამის აბაზის მაგიერ; პასპორტებს, ბილეთებს კაცის პიროვნობის შესამოწმებლად და ბარათებს, რომელიც დროებით ეძლევათ სადმე საცხოვრებლად ფასი არ მოემატებათ. რაზედაც აქამდინ 10 კაპ. გადასახადს ართმევდნენ, ეხლა განუზრახავთ 15 კაპ. გადაახდევინონ, 5 კაპ. გარდასახადელი კი ხელ-შეუხებლად დარჩება. ყველაზე მეტი გარდასახადი კი მაინც გერბის ქაღალდს უნდათ დაადონ, თუმცა პირველ ხანებში ეს გარდასახადი მარტო საქმეების ქაღალდებს (актовая бумага) მოემატება. მიმომდინარე ანგარიშსაც (текущій счотъ) დაედოს გადასახადი თუ არა, აგრეთვე თამასუქებსაც (вексельная бумага) მოემატოს ფასი თუ არა,—ამის შესახებ საქმის გარდაწყვეტა შემოდგომისთვის არის გადადებული.

**ლონდონი.** გუშინ ინგლისის კალონიების წარმომადგენელთა კრება იყო. ამ კრებაზე სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა: რადგან სახელმწიფონი, რომელთაც ზღვაზედ ძალა აქვთ, საომრად ღონეს იკრეფენ და კალონიების შეძენას ცდილობენ, ამიტომ ინგლისის კალონიებმაც უნდა თავიანთ თავზე იფიქრონ და თავიანთ ქვეყნის დაცვაზე იზრუნვონო.

**რომი.** მინისტრებმა: რობილანმა, რიკოტტიმ, ტაიანმა და ჯენალამ სამსახურს თავი დაანებეს. ახლად დანიშნულნი არიან მინისტრებად: გარეშე საქმეთა—დეპრეტისი, შინა საქმეთა—კრისპი, სამხედრო მინისტრად—ბერტოლი-ვიალი, იუსტიციისა—ცანარდელი, საზოგადო საქმეთა—საკრაკკო. დანარჩენ ადგილებზე ისევ ის მინისტრები დარჩნენ, რომელნიც წინად იყვნენ. პალატა 18 აპრილს ხელ-ახლად შეუდგება საქმესა.

### საკალენდარო ცნობანი

მარტი 31 დღით არის

**24 დღე სამშაბათი.** ღირსისა ზაქარიასი და ევსტ. არტემისა. კათოლ. მარკისა, ტიმოთესი და პალმირისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—31.

**25 დღე ოთხშაბათი.** ხარება ყოვლად წმიდის ღვთის მშობლის მარიამისა კათოლ. ხარება. მუსულ. მე-13 რიცხვ თვისა რაჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. და ბადება მე-4 ხალიფისა (შიიტ.) ჩამოსვლა ტფილისში გრაფის მიხეილ სიმონისძის ვარანცოვისა, 1845 წ.—ძეგლის აგება თავად მიხეილ სიმონის ძის ვარანცოვისა, 1867. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—32. მთვარე 14 დღისაა.

**26 დღე ხუთშაბათი.** კრება გაბრიელ მთავარ-ანგელოზისა. კათოლ. ემანუელისა, ლიუდგერისა და ოლიმპიასი. სომეხ მე-29 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-14 რიცხვი თვისა რეჯაბისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 5—33 ჩადის 6—33, მთვარე 15 დღისაა.

## კერძო განცხადებანი

გაზეთის „ცისკრის“ რედაქცია აცნობებს თავის ხელის-მომწერთ, რომ იგი იძულებულია შეაჩეროს გაზეთის გამოცემა ამწლის აპრილის 19-მდის. ამის მიზეზი ის არის, რომ ეხლანდელმა რედაქციამ გადასწყვიტა შესწოროს და შეავსოს გაზეთის პროგრამმა, მოიწვიოს აგრონომიული ნაწილის რედაქტორად სპეციალისტი-აგრონომი; მოიწვიოს აგრეთვე პედაგოგები და სხვა-და-სხვა განვითარებულნი პირნი სხვა-და-სხვა წერილებისათვის,—ერთის სიტყვით, მოახდინოს სრული ცვლილება ეხლანდელ რედაქციისა. აგრეთვე რედაქცია ამ დროის განმავლობაში ჰმართავს თავის საკუთარს სტამბას.

Дов. ценз. Тиф. 24 марта 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე